ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის)სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №4/07

ქ. თბილისი 01.02.2012 წელი

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით და, მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ - „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა გოგოლაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის (პრემიუმი არა ნაკლებ ოქტანობა-95 და დიზელი PPM 50-ზე ნაკლები ) ნასყიდობა.

3. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის ბენზინს (პრემიუმი-არა ნაკლებ ორქანტობა 95) 3600 ლიტრის, ხოლო ევრო დიზელს (PPM 50-ზე და ნაკლები) 4800 ლიტრის ოდენობით.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 5 (ხუთი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით დიზელი (PPM 50-ზე ნაკლების) შემთხვევაში და მინუს 5 (ხუთი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით ბენზინი (პრემიუმი-არა ნაკლებ 95 ორქანტობა) შემთხვევაში.

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროს.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის

მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

11.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

| **მიმწოდებელი** | **შემსყიდველი** |
|---|---|
| შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია | ს.ს.ი.პ -საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების |
| იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,ძველითბილისის | ეროვნული ცენტრი |
| რაიონი, დ.აღმაშენებლის # 154 | იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,თიანეთის გზატკეცილი # 25 |
| საიდენტიფიკაციოკოდი: 404391136 | საიდენტიფიკაციო კოდი: 209467851 |
| ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ | სახელმწიფო ხაზინა;200122900 |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | სახაზინო კოდი: 390208 |

ანგარიშის # GE62BG0000000876831000

ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ც/ფ

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიში # GE05TB7538836020100001

**გამყიდველის სახელით,**

**ს. ჯიშიაშვილი**

**მყიდველის სახელით,**

**შ.გოგოლაძე**